ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის შესაბამისად შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ცვლილება შედის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N16 დადგენილების მე 18-ე მუხლში და იცვლება თირკმლის უკმარისობით დაავადებული დიალიზზე მყოფი პირების ყოველთვიური დახმარების ოდენობა და ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარს მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ დუმბაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: დ. შარაშიძე